პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 15 (10101) | ოთხშაბათი, 19 იანვარი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მშრომელები უდიდესი აღმავლობით ასახელებენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ნ. ვლადიმიროვი. — გმირული მატიანის ფურცლები (მე-2 გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე (მე-2 გვერდი).

ა. ვაშაკიძე. — წარმოების ავტომატიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებაა (მე-2 გვერდი).

კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ (მე-2 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — სწავლისა და შრომის მოწინავენი (მე-3 გვერდი).

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი [illegible] (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე გერმანიის საკითხის შესახებ (მე-3 გვერდი).

მივაღწიოთ ატომის ენერგიის გამოყენებას კაცობრიობის საკეთილდღეოდ. უცხოეთის პრესის გამოხმაურება საკავშირო ცნობაზე (მე-4 გვერდი).

აირჩევნები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ამოცანები

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს იმ ვითარებაში, როცა ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობებზე, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საბჭოთა ხალხი არჩევნებისათვის ემზადება ისეთ პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი და მისი მეთაურობით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ხელს შეუწყობს საბჭოთა ორგანოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი ორგანიზატორული როლის ამაღლებას, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

არჩევნების წარმატებით მომზადებისა და ჩატარების საქმეში დიდი ამოცანები ეკისრებათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ისინი მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაში, არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებაში, ამომრჩეველთა სიების შედგენასა და შემოწმებაში, ლექციების, მოხსენებების, მხატვრული თვითმოქმედების საღამოების მოწყობაში.

თვითეული კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა და ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება მოვალეა თავის აქტივის ძალებით საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყოს ლექციები, მოხსენებები და საუბრები სსრ კავშირის კონსტიტუციის, საარჩევნო კანონის შესახებ, საბჭოთა წყობილების უპირატესობათა შესახებ ბურჟუაზიულ წყობილებასთან შედარებით, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ძლიერების განუხრელი ზრდის შესახებ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვაზე ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებისათვის, საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ ბრძოლაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უნდა მიაღწიონ იმას, რომ თავიანთი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით მოიცვან ამომრჩეველთა ყველა ჯგუფი. მათ ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ უზრუნველყონ მასებში საარჩევნო ლიტერატურის სწრაფად გავრცელება, გააცნონ ამომრჩევლებს პრესაში გამოქვეყნებული საინტერესო მასალები, მოაწყონ საარჩევნო ლიტერატურის ვიტრინები.

17 იანვარს რესპუბლიკაში დაიწყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ქარხნებსა და ფაბრიკებში, დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში, კოლმეურნეობებში გამართულ წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკების მოვალეობაა სისტემატურად აწარმოონ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია, უამბონ მათს შრომითს თავდადებაზე ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

არჩევნებთან დაკავშირებით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ფართოდ უნდა გამოიყენონ კინოდანადგარები, მოაწყონ ისეთი კინოფილმების ჩვენება, რომლებიც ასახავენ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ჩვენი დიადი ქვეყნის წარმატებებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, აგრეთვე უჩვენონ დოკუმენტალური და მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმები, გააძლიერონ მხატვრული თვითმოქმედების წრეების მუშაობა, ხშირად მოაწყონ მათი გამოსვლები აგიტპუნქტებში, კოლმეურნეობებში, ფერმებში, საწარმოებში და საერთო საცხოვრებლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პირველი დღეებიდანვე ქ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, აჭარის ასსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. იქვე აწყობენ მკითხველებისათვის ლექცია-საუბრებს საბჭოთა მოქალაქეების უფლება-მოვალეობის, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. გამოფენები მოაწყეს როგორც ადგილზე, ისე აგიტპუნქტებსა და საარჩევნო უბნებში მახარაძის, გურჯაანის, თელავის, გეგეჭკორის, ზესტაფონის და მთელმა რიგმა სხვა რაიონულმა ბიბლიოთეკებმა.

თავისი კარგი მუშაობით რაიონის მშრომელთა სიყვარულს იმსახურებს ლაგოდეხის რაიონის კულტურის სახლი. იგი სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს. კულტურის სახლს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს რაიონის მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის აქტივი, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველთათვის საინტერესო საკითხებზე აწყობს ლექციებს, მოხსენებებს და საუბრებს. მათივე მონაწილეობით შექმნილია მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, რომლებიც ამომრჩეველთათვის სისტემატურად აწყობენ მხატვრულ საღამოებს, მართავენ წარმოდგენებს. მათ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მოამზადეს ვ. გაბისკარიას პიესა „საყვარელი ეზო“, რომელიც უჩვენეს სოფლების აფენისა და ცოდნის კოლმეურნეებს. კულტურის სახლის ირგვლივ დაარაზმული ინტელიგენცია აქტიურად ეხმარება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს მასალების გასწორებაში, აგრეთვე გაზეთის მხატვრულად გაფორმებაში. ასეთსავე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ბორჯომის, ამბროლაურის, გალისა და ზესტაფონის რაიონების კულტურის სახლები.

მაგრამ ყველგან ასე როდია დაყენებული საქმე. მაგალითად, ზოგდაზოგის, ყასპის, ბოლნისის, ქარელისა და თერჯოლის რაიონების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ონის რაიონის უწერასა და ჟამწვის და წყალტუბოს რაიონის მაღლაკის სასოფლო კლუბები ჯერ კიდევ ნშვიათად აწყობენ ჩვენი დიადი ქვეყნის წარმატებათა და საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი კინოფილმების ჩვენებას, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების საღამო-კონცერტებსა და წარმოდგენებს. ამ რაიონების სოფლის ინტელიგენციას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლისათვის, მაგრამ მათ არ იყენებენ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და საკმაოდ არ ეხმარებიან.

სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობაზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება, რაც შეძენილია წარსულ არჩევნებში, დარაზმონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები და მთელი ინტელიგენცია იმისათვის, რომ საარჩევნო უბნებში, საგიტაციო პუნქტებში, მთელ მოსახლეობაში ფართოდ გაჩაღდეს საარჩევნო კამპანია.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გრიგოლ ანდრიას-ძე ქრისტესაშვილი საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 15 იანვარი.

მშრომელები უდიდესი აღმავლობით ასახელებენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს

რუსეთის სფსრ

ლენინგრადი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს ლენინის ქალაქში გაიმართა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები.

ფაბრიკა „სკოროხოდის“ მეფეხსაცმელეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **მოსკოვის** საარჩევნო ოლქში დაასახელონ ამხანაგები **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი** და მოწინავე გამომჭრელი **ალექსანდრა გიორგის ასული შტრიხინა.**

სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **კალინინის** საარჩევნო ოლქში დაასახელოს **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი** და უპარტიო მუშა — ელექტროშემდუღებელი **პეტრე სერგის-ძე ლებედევი.**

კიროვის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კრებაზე ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **კიროვის** საარჩევნო ოლქში დაასახელონ **მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი.**

დღეს მშრომელთა ხალხმრავალი კრება გაიმართა ქარხანა „კრასნი ტრუგოლნიკში“. საწარმოს კოლექტივმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **ლენინის** საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და წარჩინებული მუშა, კონვეიერის ბრიგადირი **მარიამ იაკობის ასული პეტროვა.**

დღეს დაიწყო წინასაარჩევნო კრებები ლენინგრადის ოლქის რაიონებშიც. ვსევოლოჟსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ისკრის“ კოლმეურნეებმა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **ვსევოლოჟსკის** საარჩევნო ოლქში დაასახელეს **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი** და თავიანთი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **ზინაიდა პეტრეს ასული პეტროვა.**

უკრაინის სსრ

კიევი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს კიევში დიდი პოლიტიკური აღმავლობა ვითარდებაში დაიწყო უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება.

კიევის გემთშემკეთებელი ქარხნის, მექანიკური ქარხნის, კიევის საკონდიტრო ფაბრიკის, ფეხსაცმლის პირველი და მეოთხე ფაბრიკების, ქარხანა „კრასნი ექსკავატორის“ მუშების, ინჟინერებისა და მოსამსახურეების ხალხმრავალ კრებებზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მაქსიმე ზაჭარიას-ძე საბაროვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის, რომლებიც საწარმოთა კოლექტივებმა დასახელეს, არიან მექანიკური ქარხნის ხარატი **გრიგოლ იაკობის-ძე ცარიკი,** ფეხსაცმლის მეოთხე ფაბრიკის ოსტატი **მარიამ თევდორეს ასული იარმოლენკო.**

ქარხანა „უკრაკაბელის“ მუშებმა, ინჟინერებმა და მოსამსახურეებმა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსი ილარიონის-ძე კირიჩენკო.**

კიევის № 2 სახელმწიფო ელექტროსადგურის კოლექტივის კრებამ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინი.**

გელორუსიის სსრ

მინსკი, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს რესპუბლიკის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში, კოლმეურნეობასა და მტს-ში, დაწესებულებასა და სასწავლებელში გაიმართა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი კრება.

ვოროშილოვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა კრებაზე ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ვოროშილოვის** საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.**

მინსკის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მიღებულია გადაწყვეტილება ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ლენინის** საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.**

რადიოქარხნის კოლექტივმა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მოლოტოვის** საარჩევნო ოლქში დასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

მინსკის კარტოგრაფიის ფაბრიკის კოლექტივის კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **სტალინის** საარჩევნო ოლქში დასახელოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

გასტელოს საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია მინსკის სატრაქტორო ქარხნის ელექტროშემდუღებელი **მიხეილ ტერენტის-ძე ანტონიკი, აღმოსავლეთ ბრესტის** საარჩევნო ოლქში — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე **ვლადიმერ სტეფანეს-ძე ნახვატი.**

საქართველოს სსრ

საქართველოს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის კამოო-მაუდის კომბინატში. სტატუები წარმოთქვეს კომბინატის დირექტორმა ნ. თუმანიშვილმა, ოსტატის თანაშემწეებმა ნ. ხარიტონაშვილმა, მ. ხარიტონოვმა, პარტბიუროს მდივანმა შ. გურგენიძემ და სხვებმა, რომლებმაც დიდების № 8 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი** და კომბინატის მოწინავე მქსოველი **მარიამ ივანეს ასული რაზმაძე.**

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მალენკოვის № 3 საარჩევნო ოლქში ერთხმად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი **გიორგი კონსტანტინეს-ძე ცქიტიშვილი.**

თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საწარმოს დირექტორმა გ. მახათაძემ. მან წინადადება შეიტანა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 32 სამრეწველო საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.** ეს წინადადება მხურვალედ მიიწონა ყველა დამსწრემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფაბრიკის კოლექტივმა დაასახელა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე.**

პუშკინის № 36 საარჩევნო ოლქში გაიმართა მშენებლობის პროცესში მყოფი წინდა-კოტონის ფაბრიკის მუშათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. საწარმოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია აგრეთვე წინდა-კოტონის ფაბრიკის დირექტორი **ტატიანა ივანეს ასული ალექსიშვილი.**

სოფელ ანაგის მალენკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა კრებაზი სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. მჭედლიშვილმა და ბრიგადირმა ა. უზუნაშვილმა. მათ წინადადება შეიტანეს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ანაგის № 151 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.** ეს წინადადება ერთხმად მიიღეს კრების მონაწილეებმა. ამავე კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია № 9 საამქროს უფროსი ბაბორანტი **ტაისა პეტრეს ასული გორიუნოვა.**

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე წარჩინებული ხარატის შ. ვადაჭკორიას წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გორკის № 329 საარჩევნო ოლქში დასახელებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.** კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **კოტა ნიკოლოზის-ძე შავიშვილი.**

ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა თავიანთ კრებაზე ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბრიგადირ შ. სეიდიშვილის წინადადებას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩაისუბნის № 335 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.**

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ავტოქარხნელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელეს: კიროვის № 207 საარჩევნო ოლქში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი,** ქუთაისის მალენკოვის № 203 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ოთარ დავითის-ძე გოცირიძე,** სტალინის № 202 საარჩევნო ოლქში — ჩქაროსანი ხარატი **ანატოლი კაზიმირის-ძე აგაპოვი,** ქუთაისის წულუკიძის № 206 საარჩევნო ოლქში — საავტომობილო ქარხნის დირექტორი **დავით სამსონის-ძე ბუკია.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ი. საბანაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. შალვა ილიას-ძე საბანაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 15 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 15 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ყ. ლომიძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 15 იანვარი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ქ. მამალაძის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ ქიშვარდის-ძე მამალაძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 15 იანვარი.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ქუთაისი

მეცხოველეობა ქუთაისის რაიონში ძალიან ჩამორჩენილი დარგია. გასულ წელს რაიონს არ შეუსრულებია პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. გეგმით გათვალისწინებულ 800 ლიტრის ნაცვლად თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 320 ლიტრი რძე. წინა წლების შედარებით გაკვეთილების მიუხედავად რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში შარშან დროულად არ შესდგომიან პირუტყვისა და ფრინველისათვის ბინების მშენებლობას. მეტად დაბალია სომინდის, ხორბლის, ჩაის, ყურძნის მოსავლიანობა.

როგორც მომხსენებელმა რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ბეშენაძემ, ისე კამთში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ქუთაისის რაიონის სოფლის მეურნეობაში მიწისმოქმედებას წამყვანი ადგილი უჭირავს. გასულ წელს კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს ბოსტნეული კულტურების დამუშავების გასაუმჯობესებლად. სოფლების ტყაჩირის, პატრიკეთის, ქვეტარისა და კვახჭირის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღეს. მაგრამ, როგორც დელეგატებმა აღნიშნეს, მებოსტნეობაშიც ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებანი. სოფელ ბარდუბნის ყდანოვისა და სოფელ ჭოგნარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში დაბალია ბოსტნეულის მოსავლიანობა.

კონფერენციაზე დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ რაიონის კოლმეურნეობებში სუსტად ინერგება მეცნიერების მიღწევები და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება. რაიონის ზევრმა კოლმეურნემ და სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა ინახულა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, მაგრამ ამ სახალხო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პოპულარიზაციას და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გიორგაძემ.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის ახალი შემადგენლობა და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

გაიმართა რაიკომის პლენუმი. რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ა. ჩიქოვანი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. კვირიკაშვილი, ხოლო მდივნად მტს-ის ზონაში — ამხ. მ. თუთბერიძე.

გ. ძოძუაშვილი.

ახალქალაქი

ახალქალაქის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბლრციანმა.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ, მართალია, მიმდინარე სასწავლო წელს გაუმჯობესდა მდგომარეობა პარტიული განათლების სისტემაში, შემცირდა პოლიტსკოლებისა და წრეების რიცხვი, გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობა, მაგრამ მაინც დღემდე აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი პოლიტიკური განათლების საქმეში. ბევრი კომუნისტი ფორმალურად ირიცხება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სიაში. პარტიული ორგანიზაციები არ აწყობენ რეფერატებს, თეორიულ გასაუბრებას, დისკუსიებს, საინტერესო ლექციებს თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანია ლექციურ პროპაგანდაში. იშვიათად იმართება ლექციები და მოხსენებები პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებზე, პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დამკვიდრებულ ხალხთა დიად მეგობრობაზე.

რაიონის ეკონომიკაში დიდი ადგილი უკავია მეცხოველეობას. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის გეგმები. მაგრამ, როგორც დელეგატებმა აღნიშნეს, საერთოდ რაიონი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს პირუტყვის პროდუქტიულობის გეგმას. ნაკლები ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებაში აგრობიოლოგიურ მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, ირღვევა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკური ვადები, რის გამო მოსავლიანობა კვლავ დაბალია.

კამათის მონაწილეებმა მწვავედ გააკრიტიკეს მტს-ის ზონებში რაიკომის მუშაკთა ჯგუფების მუშაობა. დელეგატებმა განაცხადეს, რომ რაიკომის მდივნები და ზონის ინსტრუქტორები იშვიათად არიან კოლმეურნეობებში.

სოფელ კარძახის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. იგითიანმა გააკრიტიკა რაიკომისა და რაიაღმასკომის არასწორი პრაქტიკა საკოლმეურნეო კადრების შერჩევის საქმეში. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ზოგჯერ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად რეკომენდაციას აძლევენ ისეთ პირებს, რომლებმაც ერთხელ უკვე შეირცხვინეს თავი სხვა სამუშაოზე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად ცნო.

* * *

ახლადარჩეულმა რაიკომის პლენუმმა რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ბლრციანი, მეორე მდივნად — ამხ. თ. ლაზარაშვილი, მდივნებად მტს-ების ზონებში — ამხ. გ. აკოფიანი, ს. ოგანესიანი, ა. მამულიანი.

მ. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



თბილისი. კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხანაში არჩეულების აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელი გაითქვა ამწყობი ზეინკლის გ. პირადოვის ბრიგადამ, რომელიც დავალებებს სისტემატურად 200-240 პროცენტით ასრულებს. სურათზე: გ. პირადოვის ბრიგადა თუჯსაწმენდი დოლურას აწყობაზე. მარცხნიდან მარჯვნივ — ხ. კიკოშვილი, ი. ვოლოხოვი და გ. პირადოვი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

წარმოების ავტომატიზაცია შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალებაა

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მეტალურგთა შრომის შემსუბუქება, პროდუქციის ერთეულზე უნაყოფო ხარჯების შემცირება — აი ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი მეტალურგების წინაშე დგას.

ადამიანის შრომის შეცვლას რაიმე მექანიზმით ან ელექტროაპარატით ტექნოლოგიურ პროცესში სიზუსტე და რიტმულობა შეაქვს; ავტომატიზაცია გამორიცხავს მექანიზმების უქმ მუშაობას, ამით მცირდება ენერგიის, (ელექტროენერგიის, ორთქლის, გაზის) უნაყოფო ხარჯი. ადამიანისათვის დასაშვები შეცდომები ავტომატიზებულ მექანიზმებში სრულიად გამორიცხულია და ამით შემცირებულია მოსალოდნელი შეფერხებები, ავარიები. მომსახურე პერსონალის შრომა შეუდარებლად გადვილებულია.

ავტომატიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხანაში. ასეთი საწარმოს ნიმუშს წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მილსაგლინავი საამქრო, სადაც დადგმულია მრავალი სხვადასხვა დამხმარე მექანიზმი. ისინი ასრულებენ ისეთ მეტად რთულ ოპერაციებს, სადაც საჭიროა ზედმიწევნითი სიზუსტე და რიტმულობა.

საამქროში მუშაობს ორი მილსაგლინავი დგანი: „140“ და „400“. დღიდან ამ აგრეგატების ამუშავებისა საამქროს ელექტრიკოსები განუწყვეტლივ მუშაობენ ავტომატიზაციის სრულყოფისათვის, სულ უფრო ღრმა ოპერაცია გადაჰყავთ სრულ ავტომატიზაციაზე.

მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ მილსაგლინავი დგანი „400“. მასზე მილის მიღების ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობს 245 მეტი დამხმარე მექანიზმი, რომელთა სრული ავტომატიზაცია შესაძლებელია. ამ მექანიზმებს მართვის პულტიდან 25 ოპერატორი მართავს. „400“-ის ავტომატიზაციის მიზანი ის არის, რომ მაქსიმალურად შევამციროთ ოპერატორების მიერ შესრულებული ოპერაციების რიცხვი და, სადაც ეს შესაძლებელია, ადამიანის შრომა მთლიანად ავტომატით შევცვალოთ. ამ მიმართულებით უკვე გაწეულია გარკვეული მუშაობა. მაგალითად, თვითეული მილის საწარმოებლად საამქროს ყოველი ოპერატორი 4-დან 8-ამდე ოპერაციას ასრულებს. ტექნოლოგიური ხაზის ერთ-ერთი უბნის ავტომატიზაციამ საშუალება მოგვცა ერთი ოპერატორის მოძრაობა ყოველი მილის წარმოების პროცესში რვიდან ორამდე შეგვემცირებინა, ხოლო ცვლაში საკმაოდ გაგვეთავისუფლებინა ერთი ოპერატორი.

ამრიგად, შევინარჩუნეთ რა წარმოების მოცემული ტემპი, ოპერატორთა რიცხვი შევამცირეთ და ამავე დროს შევამსუბუქეთ დარჩენილ ოპერატორთა დატვირთვა, რაც თავის მხრივ, ეჭვი არ არის, მოგვცემს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

ავტომატიზაცია ახანგრძლივებს მექანიზმების ამორტიზაციის ვადას, ამცირებს გაცვეთას, რადგან ავტომატი მექანიზმებს ჩართავს მხოლოდ უშუალოდ ოპერაციის შესასრულებლად, შემდეგ კი მექანიზმები დაუყოვნებლივ თავისთავად გამოირთვება.

ამჟამად დგან „400“-ის 50-ზე მეტი მექანიზმი გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე. ეს ჯერ დიდი მიღწევა როდია. მთავარი მიზანია ავტომატურ მართვაზე გადავიყვანოთ მექანიზმების მთელი კომპლექსი მილნამზადის მეთოდურ ღუმელში ჩატვირთვიდან გამჭოლ დგანზე მიწოდებამდე.

ა. ვაშაკიძე,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ელექტრიკოსი.

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკურ-თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

1954 წლის დეკემბერში მოსკოვში მოეწყო საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისიის პირველი სესია.

სესიამ, რომელიც მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილა ორგანიზაციული საკითხები და ორ ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების ღონისძიებანი და დაამტკიცა ოქმი, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ტექნიკური დახმარების გაწევის ურთიერთ ვალდებულებებს.

საბჭოთა კავშირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დახმარებას გაუწევს იმ გზით, რომ უსასყიდლოდ გადასცემს სამრეწველო მშენებლობის (მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების, ელექტროსადგურების და სხვ.) საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების სამუშაო ნახაზებს და ბევრი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას. გადაცემული იქნება აგრეთვე საბჭოთა სამეცნიერო-ტექნიკური და სასწავლო ლიტერატურა, ზოგიერთი სტანდარტი და საცნობარო მასალები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უსასყიდლოდ გადასცემს საბჭოთა კავშირს მსუბუქი, ფარმაცევტიკული და ადგილობრივი მრეწველობის წარმოების ტექნოლოგიის აღწერას და ნაწარმის ნიმუშებს. გადაცემული იქნება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათ შორის სუბტროპიკული მცენარეების, ციტრუსოვანი, ბოსტნეული, მარცვლეული და სხვა კულტურების ნიმუშები. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საშუალებას მისცემს საბჭოთა სპეციალისტებს გაეცნონ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიღწევებს და მუშაობის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომისიის პირველი სესიის მუშაობის დროს ჩინეთის დელეგაციას გააცნეს მოსკოვის, ლენინგრადისა და ურალის სამრეწველო საწარმოები და სამეცნიერო დაწესებულებანი.

სესიის მუშაობაში, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის წევრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროთა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა.

ერთი მტს-ის კედლის გაზეთი

აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმა“ თვეში ორჯერ გამოდის. მასში აქტიურად მონაწილეობენ მექანიზატორები, აგრონომები, ზოოვეტსპეციალისტები.

გაზეთი მტს-ის კოლექტივს რაზმავს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და კოლმეურნეობებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის, ხელს უწყობს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას, ზრუნავს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. ამავე დროს კედლის გაზეთი გაბედულად ამხილებს ნაკლოვანებებს, აკრიტიკებს უყაირათოდ მომუშავეებს.

აბაშის მტს-მა გასულ წელს პირველად შემოიღო სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად დავალება გადაჭარბებით გაანაღდა. ამ საქმეში თავი ისახელეს მექანიზატორებმა ი. მიგინეიშვილმა, გ. ქუნთელიამ, გ. თაკვარელიამ და სხვებმა. გაზეთმა ფართოდ გაანზოგადა ამ მოწინავე მექანიზატორთა მუშაობის გამოცდილება. შარშან, ნოემბერში ტრაქტორისტებმა ვ. რუსიამ, გ. ქუნთელიამ, ო. მაღნარაძემ და ა. დანელიამ კედლის გაზეთის მკითხველებს უამბეს, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას მზრალად ხვნაში.

მტს-ის სახელოსნო წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. კედლის გაზეთმა მოათავსა მტს-ის სახელოსნოს გამგის ინჟინერ ტ. ქორჩილავას წერილი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ასრულებენ აბაშელი მექანიზატორები ტრაქტორების რემონტს კვანძური მეთოდით.

კედლის გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ აგრონომები შ. ქვილითაია, რ. ფირცხელაური, ზოოვეტსპეციალისტები ს. მაცაბერიძე, ი. ცომაია და სხვები. ისინი თავიანთი წერილებითა და შენიშვნებით საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევენ მტს-ის მუშაკებს, ამხილებენ ნაკლოვანებებს. მტს-ის მთავარი აგრონომი ა. ნადარეიშვილი, რომელმაც დაათვალიერა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, კედლის გაზეთის საშუალებით მექანიზატორებს უზიარებს გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას.

კედლის გაზეთის მუშაობას საქმიანად ხელმძღვანელობს მტს-ის პარტიული ორგანიზაციის ბიურო. პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ კედლის გაზეთის მუშაობის საკითხებს, მხარს უჭერენ მის კრიტიკულ გამოსვლებს.

კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმის“ სარედაქციო კოლეგიამ სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქებისას მეტი ადგილი უნდა დაუთმოს კრასნოდარის მხარის ადღერის რაიონის მტს-ის მექანიზატორებთან აბაშის მტს-ის კოლექტივის ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას, უფრო სერიოზული ყურადღება მიაქციოს კრიტიკული წერილების ქმედითობას, აგრეთვე კედლის გაზეთის ტექნიკურ გაფორმებას.

ი. თოფურია,
აბაშის რაიონული გაზეთის რედაქციის მდივანი.

გმირული მატიანის ფურცლები

ამ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს სახელოვან თარიღს — რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავს, სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის დარბაზები განსაკუთრებით გამოცოცხლებულია. ყოველდღე მოდის აქ ათასობით ადამიანი, რომლებსაც აინტერესებთ ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ისტორია. ისინი დიდხანს დგანან ცალკეულ სტენდებთან, ყურადღებით ათვალიერებენ აქ გამოფენილ ექსპონატებს — და მათ წინაშე, როგორც კინოფილმში, კადრი კადრზე, ცოცხლდება პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის რუსეთის მშრომელთა გმირული ბრძოლის ამაღელვებელი ეპოპეა.

ამ ბრძოლაში მშრომელთა ერთგული და საიმედო ხელმძღვანელი, რომელიც მათ ნათელი მომავლის გზას უშუქებდა, იყო და არის კომუნისტური პარტია.

* * *

პირველი დარბაზის ექსპონატები მნახველთ აცნობენ მუშებისა და გლეხების მძიმე მდგომარეობას მეფის რუსეთში XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს. დიაგრამა „მიწათმფლობელობა ევროპის რუსეთში XIX საუკუნის დამლევს“ ცხადყოფს, რომ მშრომელი გლეხობის მილიონნიანი მასები ღატაკურად არსებობდნენ. 30.000 მემამულე ფლობდა 70 მილიონ დესეტინა მიწას. ამდენივე მიწა ჰქონდა 10 მილიონ კომლ გლეხს.

გლეხების ხვედრი შიმშილი და სიღატაკე იყო.

უკეთეს მდგომარეობაში როდი იყვნენ მუშებიც, რომლებსაც ულმობელ ექსპლოატაციას უწევდნენ კაპიტალისტები. მხატვარ ვერხოტუროვის აქ გამოფენილი სურათი „ანგარიშის გასწორება“ გამოხატავს იმ მომენტს, როცა მუშები მისულან „მეპატრონე“-მეფაბრიკესთან კუთვნილი ხელფასის მისაღებად. მეფაბრიკე ზის გაბღენძილი, თვითკმაყოფილი, დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში. მაგრამ მუშების სახეები, რომლებიც გამოხატავენ გულისწყრომასა და აღშფოთებას სხვადასხვა უკანონო გამოქვითვით, ჯარიმებით, რაც ამცირებს ისედაც უმნიშვნელო ხელფასს გრძელი, მომქანცველი სამუშაო დღისათვის, იმას მოწმობენ, რომ ჩნდება დიადი ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებს ექსპლოატატორთა თვითნებობას. ეს ძალაა რუსეთის პროლეტარიატი. ვიტრინაში დამთვალიერებლები ხედავენ ლენინის შრომის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ პირველი გამოცემის ეგზემპლარს, მარქსის, ენგელსის, პლეხანოვის შრომებს, რომლებსაც სოციალისტური იდეები შეჰქონდათ მასებში.

მუშები არ ურიგდებოდნენ თავიანთ მდგომარეობას და სულ უფრო ხშირად გამოდიოდნენ კაპიტალისტური ჩაგვრისა და მეფის თვითმპყრობელობის თვითნებობის წინააღმდეგ, რომელმაც მშრომელებს ყოველი პოლიტიკური უფლება წაართვა. 90-იან წლებში რევოლუციური მარქსისტული იდეების გავლენით, 1895 წელს ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ გავლენით მუშათა მოძრაობა სულ უფრო ორგანიზებული ხდება.

სტენდზეა ფოტოსურათი „ბრძოლის კავშირის“ დამაარსებელთა ჯგუფისა ვ. ი. ლენინის მეთაურობით. „კავშირი“, რომელიც რევოლუციური პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა, ხელმძღვანელობდა მუშათა მოძრაობას, სოციალისტური შეგნება შეჰქონდა ამ მოძრაობაში, წარმართავდა მას ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შერწყმის გზით.

დიაგრამა გვიჩვენებს საგაფიცვო მოძრაობის ზრდას 90-იანი წლების დამლევს. მან უფრო ფართო მასშტაბი მიიღო 900-იანი წლების დასაწყისში, როცა გაძლიერებული ეკონომიური კრიზისის შედეგად ათასობით საწარმო დაიხურა და ქუჩაში გამორეკეს 100 ათასზე მეტი მუშა. მაგრამ ახლა გაფიცვებს უკვე აშკარა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მუშათა კლასის პოლიტიკურ აღზრდაში უდიდესი როლი შეასრულა საერთო-რუსულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა „ისკრამ“, რომელიც ლენინმა შექმნა 1900 წელს.

დამთვალიერებლები ჩერდებიან „ისკრისადმი“ მიძღვნილ სტენდთან. ვიტრინაშია გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი, რომელიც იწყება ლენინის სტატიით „ჩვენი მოძრაობის სადღეისო ამოცანები“. გაზეთის სხვა ნომრებს შორის არის „ისკრის“ ოცდამეერთე ნომრის ცალი, სადაც დაბეჭდილია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პროგრამის პროექტი, რომელიც ლენინმა შეიმუშავა.

1900-1903 წლებში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოეწყო დიდი პოლიტიკური დემონსტრაციები და გაფიცვები. ფოტოსურათებისა და სურათების ფოტოპირებზე აღბეჭდილია ცნობილი „ობუხოვის დაცვა“, ბათუმის გაფიცვა, რომელიც მოეწყო ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, დონის როსტოვის გაფიცული მუშების მიტინგი კამიშევახის ხევში და მუშათა სხვა პოლიტიკური გამოსვლები.

ექსკურსანტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობისა და ყრილობაზე პარტიის წყობის ლენინური პრინციპებისათვის მომხდარი მწვავე ბრძოლისადმი მიძღვნილი სტენდი. ამ ყრილობაზე, როგორც ცნობილია, წარმატებით დამთავრდა ლენინის ტიტანური ბრძოლა რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის შექმნისათვის. ეს პარტია — ბოლშევიკების პარტია — სათავეში ჩაუდგა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის.

მუშების შემდეგ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებნენ გლეხებიც. სტენდზე მოყვანილი მონაცემები მოწმობენ, რომ 1900-1904 წლების პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მოხდა გლეხთა 670 რევოლუციური გამოსვლა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი იყო 9 (22) იანვრის ამბები. ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვარ მაკოვსკის სურათი „1905 წლის 9 იანვარი“. მხატვარმა, რომელმაც თავისი თვალით ნახა მეფესთან ხალხის მშვიდობიანი მსვლელობის დახვრეტა, აღბეჭდა მეფის მიერ უიარაღო ხალხის დახვრეტის მომენტი ვასილის კუნძულზე. სისხლის კვალი თოვლზე, დახვრეტილი დემონსტრანტების გვამები, რომლებიც შავად მოჩანან დათოვლილ მოედანზე, სამინელების გამოხატულება ქალებისა და ბავშვების თვალებში, მრისხანება და აღშფოთება მუშათა სახეზე — ყოველივე მკაფიოდ გადმოგვცემს 9 (22) იანვარს პეტერბურგის მოედნებსა და ქუჩებში მომხდარი ამბების დიდ ტრაგიზმს. ვიტრინაში მინის ქვეშ შენახულია იმ პეტიციის ნამდვილი ნაწყვეტი, რომლითაც მუშები მიდიოდნენ მეფესთან.

მუშების დახვრეტით მეფემ გაფანტა მისდამი გულუბრყვილო ნდობა, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ჩამორჩენილ მუშათა ნაწილში. ახლა ეს მუშებიც მიხვდნენ, რომ მათი ცხოვრების გაუმჯობესება, კაპიტალისტებისა და მეფის ხელისუფალთა თვითნებობისაგან განთავისუფლების მიღწევა შეიძლება არა მეფისადმი მიმართვებით, არამედ იარაღით ხელში მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლით. უკვე 9 (22) იანვარს საღამოს მუშებმა დაიწყეს ბარიკადების აგება ვასილის კუნძულზე და პეტერბურგის სხვა რაიონებში. ცნობამ მეფის სისხლიანი ბოროტმოქმედების შესახებ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში.

მუზეუმის ექსპონატები გვიჩვენებენ, როგორ დაიწყეს 9 იანვრის შემდეგ მუშებმა ყველგან აქტიური რევოლუციური გამოსვლები. დაიწყო რევოლუციური მღელვარება არმიასა და ფლოტში.

მხატვარ დოროხოვის სურათი „აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მოგონებს დამთვალიერებლებს რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთ მკაფიო ეპიზოდს, როცა მეფის ჯავშნოსნის მატროსები აჯანყდნენ, დასაჯეს რეაქციონერი ოფიცრები, კრეისერზე აღმართეს წითელი ალამი და მიიყვანეს იგი ოდესაში რევოლუციურ მუშებთან შესაერთებლად. ექსკურსანტები დიდი ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმში დაცულ რელიკვიებს — აჯანყების აქტიური მონაწილის მატროს მატიუშენკოს სამხრეებს, ჯავშნოსან „პოტიომკინის“ მატროსის ქუდის ლენტს, საესკადრო ჯავშნოსან „პოტიომკინის“ და № 217 ნაღმოსნის ეკიპაჟის მოწოდებას „მთელი ცივილიზებული მსოფლიოსადმი“. ამ მოწოდების მგზნებარე სტრიქონები გვაგრძნობინებენ 1905 წლის დიდი რევოლუციური ბრძოლების სუნთქვას.

მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია. ვიტრინაშია ბოლშევიკური გაზეთის „პროლეტარის“ 1905 წლის 27 (14) მაისის პირველი ნომრის ეგზემპლარი, რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატია რსდმპ III ყრილობის შედეგების შესახებ და ყრილობის რეზოლუციები, მათ შორის — რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

აქვეა ნაჩვენები ეგზემპლარი ვ. ი. ლენინის ცნობილი წიგნის „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ პირველი გამოცემისა, რომელიც გამოვიდა 1905 წლის ივნისში და შეიცავს რევოლუციაში ბოლშევიკური ტაქტიკის გენიალურ დასაბუთებას.

დიდ ინტერესს წარმოადგენს ვიტრინაში გამოფენილი ეგზემპლარი გაზეთ „მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებების“ პირველი ნომრისა, რომელიც გამოვიდა 1905 წლის 7 დეკემბერს. პირველ გვერდზე გამორჩევა მოსკოვის საბჭოს მოწოდება: „1905 წლის 7 დეკემბრის შუადღის 12 საათიდან მოსკოვში გამოვაცხადოთ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა და ვეცადოთ, რომ იგი შეიარაღებულ აჯანყებად გადაიქცეს“.

მოსკოვის საბჭოს მოწოდებას გამოეხმაურნენ მოსკოვის ყველა რაიონში. მოსკოვის ქუჩებში და მოედნებზე ბარიკადებს აგებდნენ.

მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებას სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია. მუზეუმში მოყვანილია მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელების — რ. ზემლიაჩკას, ვ. შანცერის, მ. ვასილიევ-იუჟინის, ზ. ლიტვინ-სედოის, ი. სამერის, მ. ვლადიმირსკის ფოტოსურათები.

სპეციალურ ვიტრინაში გამოფენილია ამ იარაღის ნიმუშები, რომელსაც იყენებდნენ მოსკოველ მუშათა საბრძოლო რაზმები. აქ არის თვითნაკეთი ხმლები, სატევრები, შაშხანები, ბომბები, რომლებითაც მუშათა რაზმები ხანგრძლივ საბარიკადო ბრძოლას ეწეოდნენ რეგულარული ჯარების წინააღმდეგ.

დიდ ინტერესს იწვევს ვიტრინებში გამოფენილი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემული „ქუჩაში ბრძოლის მოკლე „სახელმძღვანელო“, რსდმპ მოსკოვის კომიტეტთან არსებული საბრძოლო ორგანიზაციის ფურცელი „რჩევა-დარიგება თავისუფლებისათვის აჯანყებულ მუშებს“, ფოტოპირები სამხედრო მინისტრ რედიგერის მოხსენებისა ნიკოლოზ II-დი როსტოვის პოლკის აჯანყების შესახებ, რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო კომიტეტის მოწოდება „მხარი დაუჭირეთ მოსკოვის აჯანყებას!“.

ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენილი ფოტოსურათები ცხადყოფენ, თუ ვინ ედგა სათავეში მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას 1905 წელს. ესენი იყვნენ ბოლშევიკები — ფრუნზე, კიროვი, კალინინი, კუიბიშევი, სვერდლოვი, ვოროშილოვი, ძერჟინსკი, ორჯონიკიძე, ჯაფარიძე, შაუმიანი და სხვები, რომლებიც მოქმედებდნენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა სხვა ადგილებშიც — ტყვერში, კიევში, ნოვოროსიისკში, ნიჟნი ნოვგოროდში და მის მუშათა გარეუბნებში—სორმოვოსა და კანავინოში, პერმში, ჩიტაში, კრასნოიარსკსა და სხვა ქალაქებში.

მაგრამ აჯანყება ჩაიქრეს. ეს მხოლოდ დროებითი დამარცხება იყო. 12 წლის შემდეგ, 1917 წლის ოქტომბერში, მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დააგვირგვინა პოლიტიკური და სოციალური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმე, რაც დაიწყო რუსეთის პირველმა რევოლუციამ, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ოქტომბრის რევოლუციის გენერალური რეპეტიცია იყო.

მუზეუმის მრავალი ექსპონატი, რომლებიც მკაფიოდ და ხატოვნად გვიჩვენებენ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ჭეროიკას, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველებზე.

ნ. ვლადიმიროვი.

სწავლისა და შრომის მოწინავენი

ტყიბული. ლენინის სახელობის შახტი. სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა უბანი. შეუფერხებლად მოძრაობენ სამთო მექანიზმები. მძლავრი ვენტილატორები ერთი წუთითაც არ წყვეტენ მუშაობას. ისინი სანგრევში მომუშავეებს უხვად აწვდიან სუფთა ჰაერს. გუგუნებენ გაუმჯობესებული ტიპის პერფორატორები, რომლებიც ნელა, მაგრამ დაჟინებით იჭრებიან მაგარ ქანებში, მეშახტეები უკაფავენ გზას წინ, ქვანახშირის ახალი, მძლავრი ფენებისაკენ. შეწყობილად მუშაობენ ფუჭი ქანის თვითმტვირთავი მანქანები, ტრანსპორტიორები, ელექტრობურღები, ელმავლები, ჯალამბრები...

— მექანიზმების „მესაიდუმლე“ ანზორ გონგაძე! — მეუბნება ჩემი მეგზური და მაცნობს ერთ-ერთ მექანიზმთან მოფუსფუსე ახალგაზრდას. იგი პროფესიით ზეინკალი აღმოჩნდა. ანზორი საუკეთესოდ იცნობს სამთო მექანიზმებს, ერკვევა მათს ყოველ დეტალში. მივხვდი, თუ რატომ უწოდა მეგზურმა ახალგაზრდა მეშახტეს მექანიზმების „მესაიდუმლე“. დამაინტერესა ამ ახალგაზრდის ცოდნამ. ანზორ გონგაძე საშუალო ტექნიკური განათლების მიღების შემდეგ ლენინის სახელობის შახტში მოსულა და მიწის ქვეშ, უშუალოდ სანგრევებში ზეინკლად დაუწყია მუშაობა.

პირველი დღიდანვე ახალგაზრდა მეშახტემ უსაზღვროდ შეიყვარა შახტი, მშობლიური სანგრევები და მექანიზმები. ახალგაზრდა ზეინკალი თავდადებული და პატიოსანი შრომისათვის უსაზღვროდ შეიყვარეს ამხანაგებმა, მეშახტეთა მთელმა კოლექტივმა.

ამჟამად ა. გონგაძე როდი ემყოფილდება მიღწეულით. იგი ჩარიცხულია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ქუთაისის ფილიალის სამთო ელექტრომექანიკური ფაკულტეტის პირველ კურსზე.

— გადავწყვიტე გავიღრმავო ცოდნა, — გვეუბნება ა. გონგაძე. — თვითონ ხედავთ, თუ როგორ მიდის წინ სამთო მეცნიერება და ტექნიკა. ჩვენი შახტი დღეს ის აღარ არის, რაც გუშინ იყო, ხოლო ხვალ ის როდი იქნება, რაც დღეს არის. მიწის წიაღში ახალი, რთული მექანიზმების გამოყენება დიდ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ დახელოვნებას მოითხოვს მეშახტეებისაგან. ამიტომ გადავწყვიტე დავეუფლო სამთო მეცნიერებას. ამისათვის მე ყველა პირობა მაქვს შექმნილი.

ა. გონგაძის მსგავსი ახალგაზრდები, როგორც შრომაში, ისე სწავლაში ბეჯითნი, ამ შახტში სხვებიც არიან. აი, თუ გნებავთ, გრიგოლ ფანჩულიძე. ამ რამდენიმე წლის წინათ გ. ფანჩულიძემ წარმატებით დაამთავრა ტყიბულის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის დროს მას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიზიკური მუშაობა. ამჟამად გ. ფანჩულიძე დაუსწრებლად განაგრძობს სწავლას. იგი საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსის სტუდენტია. შახტის ადმინისტრაციამ მოწინავე ახალგაზრდა პასუხსაგებ სამუშაოზე დანიშნა — შახტის ვენტილაციის ცვლას ხელმძღვანელობს. მის უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული თვითეული მეშახტის ნაყოფიერი და უსაშიშრო შრომა.

ასევე, მიწის ქვეშ, ქვანახშირის ამოღების საქმეს ემსახურებიან საშუალო სკოლადამთავრებული მოწინავე მეშახტეები ო. ქასრაშვილი, ა. გოქაძე, მ. სილაგაძე, ო. ვირსალაძე და სხვ. ისინი მუშაობისაგან თავისუფალ დროს მეცადინეობას ანდომებენ და გულმოდგინედ ემზადებიან სამთო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შესასვლელად.

ვინ არ იცნობს სტალინის სახელობის შახტის სახელოვან მნგრეველს ივანე ორჯონიკიძეს. იგი ერთ-ერთი პირველი დაეუფლა შახტში მოწინავე, რენტაბელურ მეთოდს — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდს და დიდ წარმატებას აღწევს. სტახანოველი მეშახტე 12 თვის განმავლობაში დავალებათა ზედიზედ გადაჭარბებით შესრულებისათვის ამას წინათ შეიტანეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის საპატიო წიგნში.

ამჟამად ი. ორჯონიკიძე ტყიბულის მუშა-ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის მე-10 კლასში სწავლობს.

— მე, — განაცხადა ორჯონიკიძემ ამხანაგებთან საუბარში, — მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი არ დავკმაყოფილდე მიღწეულით. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას უპირველად განვაგრძობ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რათა დავეუფლო სამთო მეცნიერებას და უფრო ნაყოფიერად ვიმუშაო ქვანახშირის მრეწველობის ფრონტზე.

ასევე კარგად უთავსებენ ერთმანეთს სკოლაში ბეჯითად სწავლასა და შახტში ფიზიკურ მუშაობას მოწინავე მეშახტეები ნ. ჭუმბურიძე, კ. გამეზარდაშვილი, ბ. კალატოზიშვილი, დ. ბოჭორიშვილი და სხვები.

რაიონში მრავალმა ათეულმა ახალგაზრდამ მიიღო გასულ წელს სიმწიფის ატესტატი. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა გახდეს სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშა, უხვი მოსავლის ოსტატი. მოწინავე ახალგაზრდამ პარმენ ჯინჯიხაძემ ორპირის საშუალო სკოლა დაამთავრა და გადაწყვიტა სამუშაოდ დარჩეს თავისსავე სოფელში. იგი ამჟამად კოლმეურნეობის ხეხილის ბაღებში მუშაობს. თავდადებული შრომით მან შარშან კოლმეურნეობაში 180 შრომადღე გამოიმუშავა. ამავე კოლმეურნეობაში ბეჯითად მუშაობს საშუალო სკოლადამთავრებული გოგონა, ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატი ც. ხუჯაძე.

საშუალო სკოლადამთავრებულები ხალისით სწავლობენ აგრონომიულ და ზოოტექნიკურ სამწლიან კურსებზე. ბევრმა მათგანმა სურვილი გამოთქვა კოლმეურნეობაში მუშაობასთან ერთად ისწავლოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

ასე მონაწილეობენ შემოქმედებითს შრომაში ტყიბულელი ახალგაზრდები. მათს რიგებს დღეადღე სულ უფრო მეტი რაოდენობით ემატებიან ჯანდონით სავსე ახალგაზრდები. ასე იწრთობიან, ასე ვალაცდებიან სწავლისა და შრომის მოწინავენი.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჭიათურაში

ნამსახურობისათვის

ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მაღაროელებმა 7.300.000 მანეთი მიიღეს. წარჩინებულმა მაღაროელებმა ტ. ფოფხაძემ, ქ. დავთაძემ, ს. ოთინაშვილმა, გ. თოდაძემ, პ. მირონაძემ, შ. გურაბანიძემ და სხვებმა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მიიღეს 3.000-3.500 მანეთი თვითეულმა.

კურის ახალი ქარხანა

დამთავრდა პურის ახალი მექანიზებული ქარხნის მშენებლობა, რომელზეც ორი მილიონ მანეთამდე დაიხარჯა. ქარხანა მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში. იგი დღეღამეში 35 ტონა პურს გამოუშვებს.

საავთიაქო მაღაზია

ნინოწმინდის ქუჩაზე გაიხსნა კეთილმოწყობილი საავთიაქო მაღაზია. იგი უზრუნველყოფილია პირველი მოხმარების მედიკამენტებით.

მაღაროელთა კლუბის მშენებლობა

ლენინის სახელობის მაღაროს ტერიტორიაზე დაიწყო მუშათა კლუბის მშენებლობა, რომელიც ორ მილიონ მანეთამდე დაჯდება. მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს.

სანაპიროს კეთილმოწყობა

კეთილმოწყობილი ხდება მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპირო ჭიკა. აქ აშენდა ჯებირი, გაფართოვდა საავტომობილო გზა, სანაპიროს გასწვრივ დაირგო დეკორაციული მცენარეები.

კულტურის სასახლის მშენებლობა

წელს მარგანეცის ქალაქში დაიწყება კულტურის სასახლის მშენებლობა, რომელზეც 7.500.000 მანეთი დაიხარჯება. ახლო ხანში დაიწყება ავრეთვე პიონერთა სასახლის მშენებლობა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ახალი წიგნები

შ. აფხაიძე — ლექსები. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1954 წელი. რედაქტორი გ. ლეონიძე. ტირაჟი 5.000 ეგზემპლარი, გვ. 322, ფასი 7 მან. 25 კაპ.

ზ. ბალდასარაშვილი — ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება მევენახეობაში. თბილისი, 1954 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. რედაქტორები: მ. რამიშვილი, ზ. შენგელია. ტირაჟი 3.000 ეგზემპლარი, გვ. 91, ფასი 1 მან. 15 კაპ.

მ. ზანდუკელი — ახალი ქართული ლიტერატურა. II ტომი, თბილისი, 1954 წ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდიური კაბინეტის გამომცემლობა. რედაქტორი პროფ. გ. ჯიბლაძე. ტირაჟი 3.000 ეგზემპლარი, გვ. 467, ფასი 13 მან.

მ. იმნაძე — ზოგადი ასტრონომია. თბილისი, 1954 წ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. რედაქტორი მ. ვაშაკიძე. ტირაჟი 2.000 ეგზემპლარი, გვ. 300, ფასი 6 მან. 70 კაპ.

ა. ფიცხელაური — „დეკორაციული კერამიკა“. თბილისი, 1954 წ. გამომცემლობა „ხელოვნება“. რედაქტორი დ. ცოცანავილი. ტირაჟი 2.000 ეგზემპლარი, გვ. 176, ფასი 6 მან.

ი. მეუნარგია — ქართველი მწერლები. ტ. I. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდიური კაბინეტის გამომცემლობა. თბილისი, 1954 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 497, ფასი 13 მან. 50 კაპ.

წიგნში შეტანილია მონოგრაფიები: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, გრიგოლ დადიანის (ლოლიდელის), მამია გურიელის, დავით ერისთავის და გიორგი ქოჩაკიძის (ჯალდიდელის) ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. წიგნი გამოცემულია ს. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და კომენტარებით.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე გერმანიის საკითხის შესახებ

საბჭოთა მთავრობის განცხადება სახავს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის გზას

ბერლინი, 17 იანვარი. (საკუთრი). გერმანიის მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო საბჭოთა მთავრობის განცხადებამ გერმანიის საკითხზე. აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელები იწონებენ და მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ახალ ინიციატივას, რომლის მიზანია გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანება, მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელება.

გერმანელი ხალხი რომ მზარს უჭერს საბჭოთა მთავრობის წინადადებას გერმანიის საკითხზე, ამის მკაფიო დემონსტრაციაა შეერნის მშრომელთა გუშინდელი 40-ათასიანი მიტინგი იმის გამო, რომ მუშათა დაამთავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავეთა კონფერენციამ.

მიტინგს დაესწრო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელიც სახავს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის, გერმანიის გაერთიანების გზას.

ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა პარიზის სამხედრო შეთანხმებათა იგრესიული ხასიათი, რომელიც მიზნად ისახავენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასა და გერმანიის გათიშვას, და განაცხადა:

„ენგესსერა პარიზის შეთანხმებათა საკითხზე იმასვე ნიშნავს, რასაც ენგესერა რაიხსტაგში 1933 წელს იმის შესახებ, რომ ჰიტლერს მინიჭებოდა სავანგებო რწმუნებანი. ეს იყო რწმუნებანი იმის მოსამზადებლად, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ნიშნავს მილიტარიზმის აღორძინებას ნაცვლად გერმანიის გაერთიანებისა. თუ ბონის მთავრობა აცხადებს, რომ რატიფიკაციის (პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის. — **რედ.**) შემდეგ კიდევ შესაძლებელი იქნება მოლაპარაკება გერმანიის ერთიანობის საკითხზე, ეს შეგნებული ტყუილია.

გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალები, განაგრძო ულბრიხტმა, მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის განცხადებას გერმანიის საკითხზე, რომელშიც იგი ითვალისწინებს სრულიად გერმანიის დემოკრატიული არჩევნების მოწყობას ამ სერიოზულ ვითარებაში.

ულბრიხტმა დასავლეთ გერმანიის მუშებს გულებსა და ინტელიგენციას, მთელ გერმანელ ხალხს მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, გერმანიის გაერთიანებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს ტელეტი დეპეშისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვისადმი. დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის უმრავლესობაც დაუჭერს მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ 1955 წელს მოეწყოს თავისუფალი დემოკრატული არჩევნები იმ პირობით, რომ ბონის ხელისუფლება უარს იტყვის პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციაზე, რადგან ეს წინადადება შეესაბამება მის საკუთარ სასიცოცხლო ინტერესებს.

მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს და პროფკავშირთა წევრებს გააძლიერონ ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ დამტკიცებულ იქნას პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ, რომელნიც შეუძლებელს ხდიან ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან გაერთიანებას. როგორც მიმართვაში ხაზგასმით არის აღნიშნული, საბჭოთა მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ 1955 წელს მოეწყოს სრულიად გერმანიის დემოკრატიული არჩევნები, სახავს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის რეალურ გზას.

ბალეში გაიმართა გერმანელ მაღაროელთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ამ დარგის მშრომელთა წარმომადგენლებმა. კონფერენციის მონაწილენი „მოყოფილებით შეეგებნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას გერმანიის საკითხზე. კონფერენციამ დასავლეთ გერმანიის მაღაროელთა პროფკავშირის მთავარ გამგეობას გუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდებს მხარი დაუჭიროს საბჭოთა მთავრობის წინადადებას და დაარაზმოს მთელი ძალები, რათა არ დაუშვას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია. საბჭოთა მთავრობის განცხადება, ხაზგასმით აღნიშნულია წერილში, შეესაბამება ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის ინტერესებს და განსაკუთრებით გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებს.

გერმანულ პრესას მოჰყავს გერმანიის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების მიერ გამოთქმული აზრები, რომელშიც იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას გერმანიის საკითხზე.

პარიზი, 17 იანვარი. (საკუთრი). ფრანს პრესის საგაზეთის ბონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ დასავლეთ გერმანიის გაზეთების „პირველი რეაგირება“ საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე „მოწმობს ერთგვარ დაბნეულობას“. კორესპონდენტს მოჰყავს მემარჯვენე გაზეთების მიერ გამოთქმული მთელი რიგი აზრები. ეს გაზეთები ვერ ბედავენ აშკარად გაილაშქრონ გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს დაჟინებით მოითხოვენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას და პარიზის შეთანხმებათა უსწრაფეს რატიფიკაციას.

გაზეთ „გენერალ-ანციგერს“ შეუძლებლად მიაჩნია „დაკმაყოფილდნენ განცხადებით, რომ მოსკოვის ნოტები ვერ შეცვლიან დასავლეთის სახელმწიფოთა მტკიცე პოლიტიკას“, რადგან ეს გამოიწვევს „საკვედურს სისტემატური უარისათვის მოისმინონ მოსკოვის წინადადებანი“.

15 იანვრის განცხადებით, წერს გაზეთი, მოსკოვი ბერლინად მიმართავს უშუალოდ ფედერალურ რესპუბლიკას. ეს გვიჩვენებს საბჭოთა კავშირთან აზრების უშუალოდ ურთიერთგაზიარების შესაძლებლობას...

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ნოიე რაინეიტუნგი“ საბჭოთა განცხადებაზე დასავლეთ გერმანიის მთავრობის რეაგირებასთან დაკავშირებით წერს: ნუთუ ბონი თავს საკმაოდ ძლიერად ვგრძნობს, რომ მსოფლიო საბელჭიფო აიძულოს წავიდეს მის მიმართ დათმობაზე? ნუთუ კვლავ იტყვიან უარს მოლაპარაკებაზე მხოლოდ იმისათვის, რომ დაიბახონ 12 დიეზიის მარში? საკმარისია შეეხედოთ ბერლინს, რომ დაუყოვნებლივ დავრწმუნდეთ საფრთხეში, რომელიც შეიძლება წარმოშვას ბონის არმიამ. კანცლერი ადენაუერი, როგორც ჩანს, იმდენად ჩათრეულია თავის მიღებულ პოლიტიკაში, რომ გამბედაობა არ ჰყოფნის ნახევრად შებრუნდეს.

ფრანგული პრესა გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

პარიზი, 17 იანვარი. (საკუთრი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ გერმანიის საკითხზე მრავალი გამოხმაურება გამოიწვია საფრანგეთის პრესაში. გაზეთები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ უდიდეს დოკუმენტს და მას მთლიანად აქვეყნებენ ან მის შინაარსს ძალიან დაწვრილებით გადმოსცემენ. მაგრამ მემარჯვენე პრესა ცდილობს შეამციროს განცხადების მნიშვნელობა და ამტკიცებს თითქოს საქმე ეხებოდეს „პროპაგანდას“.

გაზეთი „ფიგარო“ წერს, რომ საბჭოთა განცხადება გერმანიის საკითხზე უმნიშვნელოვანესი მომენტია „სსრ კავშირის შეტევაში პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ“.

ფრანგი სოციალისტების გაზეთი „პოპიულერ დე პარი“ ნებისმიერად განმარტავს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და ცილისწამებლურად ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს არ ესწრაფვოდეს გერმანიის გაერთიანებას.

საბჭოთა მთავრობის განცხადებამ, წერს გაზეთი „კომბა“, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის საზოგადოებრიობაზე, და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებზე.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ განცხადებას შეუძლია ოგრეთვე „დაფიქროს მთავრობის კოალიციის ნაწილი“ დასავლეთ გერმანიაში“.

გაზეთი „ორორი“ ცდილობს საბჭოთა მთავრობის განცხადება მიაკუთვნოს „მოსაჩვენებელ ჟესტებს“. როგორც უნდა იყოს, შენიშნავს გაზეთი, სსრ კავშირს უარი არ უთქვამს თავის დიპლომატიურ შეტევაზე პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ. მოწინავე სტატიაში გაზეთი „ფრან-ტირერი“ აღიარებს, რომ დასავლეთ გერმანიაზე, „რომელიც გათიშულია პარიზის შეთანხმებათა საკითხში და განსაკუთრებით საარის შესახებ შეთანხმების საკითხში“, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა მთავრობის განცხადებამ, რომელიც ნიშნავს: „არ დაამტკიცოთ (პარიზის შეთანხმებანი. — **რედ.**), თუ გსურთ მიაღწიოთ ერთიანობას; ხვალ გვიანღა იქნება“.

გაზეთი „ლიბერასიონი“, რომელმაც გამოაქვეყნა განცხადების დაწვრილებითი შინაარსი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მთავრობა თანახმაა მოეწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები „საერთაშორისო კონტროლით“, მაგრამ რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ ოთხი სახელმწიფოს ყოველგვარი მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების საკითხზე არა მარტო უსარგებლო, არამედ შეუძლებელიც გახდება.

გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ საბჭოთა კავშირი ამხილებს მენდეს-ფრანსის მთავრობის მანევრებს, რომელიც კვლავ ამტკიცებს თითქოს გერმანიის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება მოხდეს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ. საბჭოთა კავშირი გვიჩვენებს, რომ გერმანიის ერთიანობის პრობლემა შეიძლება წყდესაც კი გადაწყდეს საერთაშორისო მეთვალყურეობით თავისუფალი არჩევნების მოწყობის საფუძველზე. გერმანიის სოზიციონერი აზრის დიდი უმრავლესობა ენთუზიაზმით შეხვდება ამ ახალ დახუსტებას.

„ლუმანიტე“ აცხადებს, რომ ახლა უკვე შეუძლებელი იქნება გერმანიის გათიშვის დამკვიდრების პოლიტიკის განხორციელება ისეთი ფრაზების საფარით, თითქოს სსრ კავშირს „არ სურს თავისუფალი არჩევნები“.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიკიბულ - მოკიბული განცხადება

ლონდონი, 17 იანვარი. (საკუთრი). რეიტერის საგენტომ გამოაქვეყნა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა არსებითად თავი აარიდა საბჭოთა წინადადებების კომენტარებას.

გერმანიის გათიშვის პოლიტიკის წინააღმდეგ

რომი, 17 იანვარი. (საკუთრი). იტალიის გაზეთებმა, მათ შორის მემარჯვენე გაზეთებმაც, თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნეს იმ წინადადებათა სრული ტექსტი ან შინაარსი, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის განცხადება გერმანიის საკითხზე.

გაზეთი „უნიტა“ ხაზგასმით აღნიშნავს შვიდობის სულისკვეთებას, რითაც გამსჭვალულია ეს განცხადება, რომელიც იდასტურებს სსრ კავშირის სურვილს მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი, რათა ხელი შეუწყონ გერმანიის გაერთიანებას და გადაჭრან ევროპის მშვიდობის ყველაზე სერიოზული პრობლემა.

სტატიაში სათაურით „სსრ კავშირის ახალი სამშვიდობო წინადადება“ გაზეთი „ავანტი“ წერს: „აზლანდელი განცხადება, რომელიც საბჭოთა პოლიტიკის — ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამტკიცებს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შეუძლიათ ერთად იარონ მშვიდობის გზით.

ეს განცხადება ნათლად მოუწოდებს ბონის მთავრობას ხელი აიღოს გათიშვის პოლიტიკაზე, რომელსაც ომისაკენ მივყავართ, და ყურად იღოს თავისი ქვეყნის ხმა“.

მემარჯვენე პრესა, აქვეყნებს რა საბჭოთა მთავრობის განცხადების დიდ ნაწყვეტებს, ცდილობს დააკნინოს ამ დოკუმენტის ზნიმენელობა და დაამახინჯოს მისი აზრი.

მემარჯვენე გაზეთები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საბჭოთა განცხადება დაბრკოლებებს უქმნის გერმანიის შეიარაღების საკითხზე პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას.

ინგლისი ევროპის „ერთიანობის“ აუცილებელ პირობად აცხადებს გერმანელთა მისწრაფება ერთიანობისადმი

ლონდონი, 17 იანვარი. (საკუთრი). „ტაიმსმა“, „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტმა“, „დეილი მეილმა“ და „დეილი უორკერმა“ საბჭოთა მთავრობის განცხადებას გერმანიის საკითხზე მოუძღვნეს სარედაქციო სტატიები. „დეილი უორკერმა“ განცხადების შესახებ ცნობა მოათავსა დიდი სათაურით: „მიეცეთ გერმანელებს თავისუფალი ხმისმიცემის შესაძლებლობა“.

„ტაიმსის“ ბონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბონის ოპოზიცია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში ხედავს „მითითებას, რომ რუსებს სერიოზულად სურთ განიხილონ გერმანიის საკითხი... ოპოზიციას მიაჩნია, რომ ეს წინადადება უკუგდებულ არ უნდა იქნას, როგორც უბრალო პროპაგანდისტული ნაბიჯი“.

მაგრამ „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, გერმანიის საკითხში საბჭოთა კავშირის „არაგულწრფელობაში“ და ამასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიას აშინებს მომავლის „შავბნელი პერსპექტივებით“, „თუ პარიზის შეთანხმებებს საბნაგვეზე გადაგდებენ“. გაზეთი დაჟინებით მოუწოდებს დაიჭირონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, თუმცა საეჭვებთ ცხადია, რომ მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის გერმანიის ერთიანობის აღდგენის შესახებ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების საფუძველზე. ამ შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ აზრის დაკარგვას და შეუძლებელი გახდება.

გაზეთი „დეილი მეილი“ სარედაქციო სტატიაში, ეხება რა საბჭოთა მთავრობის წინადადებას, წერს: „რა თქმა უნდა, ჩვენ გვერდს ვერ აუვლით ამ უკანასკნელ ნაბიჯს იმის თქმით, რომ იგი არაფერს არ ნიშნავს. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ იგი“. მაგრამ სტატიის ავტორი იქვე მოუწოდებს „მთელი სიმტკიცით“ განხორციელდეს გერმანიის შეიარაღება, რათა სსრ კავშირთან მოლაპარაკება „ძალის პოზიციიდან“ წარმოვიდგეს.

„დეილი უორკერი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რომ მათ სიმართლეს არ ეუბნებოდნენ, როცა უმტკიცებდნენ, თითქოს სსრ კავშირი არ თანხმდება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობაზე.

ლონდონი, 17 იანვარი. (საკუთრი). გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ შეშფოთებას იჩენს ამ გამოხმაურების გამო, რასაც გერმანელები იჩენენ საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე გერმანიის საკითხის შესახებ.

გაზეთს მიაჩნია, რომ ეს განცხადება დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა შორის გამოიწვევს „ენანდელზე უფრო ღრმა მისწრფებას ანალიზისადმი“.

ამისათვის, გაზეთის აზრით, არსებობს შემდეგი მიზეზები:

პირველი, ეჭვები დასავლეთ გერმანიაში, რაც გამოწვეულია ადენაუერისა და მენდეს-ფრანსის შეხვედრით ბადენ-ბადენში, და ის ფაქტი, რომ ადენაუერმა ვერ მიაღწია დათმობებს საარის საკითხში; მეორე, მოსაზღვრეობის ინტერესი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხის განხილვისადმი, რაც ბუნდესტაგის კომისიაში დაიწყება 17 თებერვს, და, მესამე, კამპანია, რომელსაც სოციალ-დემოკრატები რატიფიკაციის წინააღმდეგ ეწევიან.

დაეთანხმა რა ბონის მთავრობის პრესის უწყების განცხადებას, რომელიც ცდილობს დაიცვას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის პოლიტიკა, „მანჩესტერ გარდიანის“ ბონელი კორესპონდენტი აღნიშნავს: „მაგრამ ფაქტად რჩება, რომ საბჭოთა წინადადება სწორედ ისეთია, როგორიც ეშინია ფედერალური მთავრობის ბევრ წევრს. გასულ კვირაში სრულიად გერმანიის საკითხთა ფედერალური სამინისტროს თანამშრომელმა მითხრა, რომ ყველაზე „საშიში“ საბჭოთა წინადადება იქნებოდა თავისუფალი არჩევნების მოწყობის ნებართვა, თავისუფალი გერმანიის გაერთიანება, რომელსაც საკუთარი თავდაცვითი შეიარაღებული ძალები ეყოლება, და გერმანიის მდგომარეობა ყოველგვარი საშიერი კავშირის ფარგლებს გარეთ. ეს წინადადება ყველაზე „საშიში“ იქნებოდა იმიტომ, რომ იგი აშკარად მისაღები იქნებოდა მეტი წილი გერმანელებისათვის. სწორედ ამ წინადადებას იძლევიან ახლა რუსები“.

„მანჩესტერ გარდიანმა“ საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ დაბეჭდა ავტორეფერცული სარედაქციო სტატია, რომელიც შეიცავს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ მტკიცებას, თითქოს წინადადება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების შესახებ გულწრფელი არ იყოს.

„ბირმინჰამ პოსტის“ დიპლომატიური მიმომხილველი „გონიერულს“ და „მიმზიდველს“ უწოდებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რადგან „იგი გერმანელებს სთავაზობს მათი ყველაზე სანუკვარი ოცნების — ერთიანობის განხორციელებას“. „მაგრამ ფაქტად ნერლინის თათბირის შემდეგ, — წერს მიმომხილველი, — რუსები პირველად დათანხმდნენ პრინციპულად, რომ მოწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები საერთაშორისო მეთვალყურეობით“.

მაგრამ სარედაქციო სტატიაში იგივე გაზეთი „ბირმინჰამ პოსტი“, ეხება რა საბჭოთა კავშირის წინადადებას გერმანიაში საერთაშორისო მეთვალყურეობით თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ, ცდილობს არადამაჯერებლად გამოაცხადოს ეს წინადადება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესამ გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის განცხადება გერმანიის საკითხზე

პეკინი, 17 იანვარი. (საკუთრი). პეკინის გაზეთებმა დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით დაბეჭდეს სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა გერმანიის საკითხზე. საბჭოთა მთავრობის განცხადება გადასცეს ავრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რადიოსადგურებმა.

შანხაი, 17 იანვარი. (საკუთრი). დღეს შანხაის გაზეთებმა „ძეფანეიბაომ“, „სინვენიბაომ“ და „ვენხუეიბაომ“ პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით დაბეჭდეს საბჭოთა მთავრობის განცხადება გერმანიის საკითხზე.

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში

გორის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები წარმატებით ემზადებიან საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. ზოგან (სკრა, ახალუბანი) საგაზაფხულო ხვნასაც შეუდგნენ. სოფლების ფლავის, ჯარბის, ხიდისთავის, ხელოუბნის, კარალ

მივაღწიოთ ატომის ენერგიის გამოყენებას კაცობრიობის საკეთილდღეოდ

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საკდესის ცნობაზე

„საბჭოთა კავშირის ძლიერების დამაჯერებელი დადასტურება"

ვარშავა, 17 იანვარი. (საკდესი). პოლონური პრესა ფართო კომენტარს უკეთებს საკდესის ცნობას, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის გაუზიაროს სხვა ქვეყნებს მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

მოწონავე სტატიაში „ადამიანისათვის, სიცოცხლისათვის" გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ" ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირში ატომის ენერგიის პირველი ელექტროსადგურის ამუშავების უდიდეს მნიშვნელობას. კატოვიცის ისტორიაში პირველად არის, აღნიშნავს გაზეთი, რომ ატომის ენერგია ემსახურება არა მოსპობასა და სიკვდილს, არამედ შემოქმედებასა და სიცოცხლეს...

ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საბჭომ, რომელიც გასულ თვეში გაიმართა, ოფიციალურად განაცხადა, რომ ატლანტიკის პაქტის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ საშტაბო გეგმებში დაეყრდნობიან ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებას.

ამ გეგმების წინაშე საბჭოთა კავშირის ძლიერების, მისი სამშვიდის და ხალხთა სინდისისა და გონებისადმი ნიმა რწმენის მშვენიერი და დამაჯერებელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის მზადყოფნა — სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, გადასცეს საბჭოთა გამოცდილება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

პოლონეთის საზოგადოებრიობა, დასასკენის გაზეთი, მხურვალედ მიესალმება დიდი და მძლავრი საბჭოთა კავშირის — ჩვენი მოკავშირის, მეგობრისა და ძმის ახალ ინიციატივას.

შანხაის პრესამ გამოაქვეყნა საკდესის ცნობა

შანხაი, 17 იანვარი. (საკდესი) შანხაის საბჭოთა რადიოსადგურმა გადასცა საკდესის ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის გაუზიაროს სხვა ქვეყნებს სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაცია მსოფლიოში პირველი საბჭოთა ატომის ენერგიის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. გაზეთები „ჟენშენიბაო", „სინ-ვენიბაო", „ვენხუაიბაო" და „ლაოდუნბაო" თვალსაჩინო ადგილს უთმობენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას მთელი კაცობრიობის კეთილეულად გახადოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების მეცნიერული გამოკვლევები და ცდები.

ჰოლანდიის პრესა საკდესის ცნობის შესახებ

ჰააგა, 17 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის წინადადებამ — გადასცეს ცნობები ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურის შესახებ — ჰოლანდიის პრესის დიდი ყურადღება მიიპყრო. გაზეთები ამ ცნობას აქვეყნებენ დიდი სათაურით თვალსაჩინო ადგილას. გაზეთი „ჰაგეშე კურანტი" წერს, რომ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ცნობების გაცვლა ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

„მივაღწიოთ ატომგულის ფიზიკის მიღწევათა გამოყენებას კაცობრიობის საკეთილდღეოდ"

პრაღა, 17 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესის ყურადღების ცენტრშია საკდესის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის გადასცეს სხვა ქვეყნებს ატომის ენერგიით მომუშავე პირველი ელექტროსადგურის ექსპლოატაციის სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილება.

საბჭოთა მთავრობის წინადადებას, წერს გაზეთი „რუდე პრავო", მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ იგი შემოტანილია იმ დროს, როცა კვლავ გამწვავდა საერთაშორისო მდგომარეობა, როცა იმპერიალისტურ ბანაკში ატომურ ომისათვის მზადების შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის ამასწინანდელი გადაწყვეტილების შემდეგ აშკარად ვარაუდობენ ატომური იარაღის გამოყენებას.

ლაპარაკობს რა საბჭოთა კავშირის მრავალ წინადადებაზე ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვის შესახებ, გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ხელმძღვანელობდა ერთი აზრით, ერთი სურვილით — გამოიყენოს ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით.

საბჭოთა კავშირს, წერს მოწინავე სტატიაში „სვობოდნე სლოვო", სურს გადასცეს სხვა სახელმწიფოებს ატომის ენერგიის გამოყენების სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ატომისა და წყალბადის ბომბები, საბჭოთა კავშირი გადაჭრით მოითხოვს ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის სრულ და უთუო აკრძალვას.

მშვიდობისმოყვარე ადამიანები, აღნიშნავს დასასრულ „სვობოდნე სლოვო", საკმაოდ ძლიერნი არიან, რომ მიაღწიონ ატომური იარაღის სრულ აკრძალვას, რომ მიაღწიონ ატომგულის ფიზიკის მიღწევათა გამოყენებას კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

„ატომის ენერგია შეიძლება კეთილნაყოფიერი ძალა გახდეს"

ბუდაპეშტი, 17 იანვარი. (საკდესი). „საბადნეხი" მოწონავე სტატიას უძღვნის საბჭოთა მთავრობის წინადადებას — გაუზიაროს სხვა ქვეყნებს საბჭოთა ატომური ელექტროსადგურის მუშაობის გამოცდილება. გასული წლის ზაფხულში, ნათქვამია სტატიაში, საბჭოთა კავშირმა გვიჩვენა იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ატომის განთავისუფლებული ძალა მოვაქციოთ გარკვეულ ჩარჩოში და ჩავაყენოთ კაცობრიობის მშვიდობიანი განვითარების სამსახურში.

საბჭოთა კავშირი ამბობს: ინებეთ, მიბაძეთ ჩვენს მაგალითს. ატომის ენერგია შეიძლება კაცობრიობისათვის უდიდესი კეთილნაყოფიერი ძალა გახდეს. ჩვენ ვიცით მისი გამოყენება. დე ეს იყოს მთელი კაცობრიობის კუთვნილება.

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეობის ახალი დადასტურება

ტირანა, 17 იანვარი. (საკდესი). ეხება რა საკდესის განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის გადასცეს მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილება ატომის ენერგიით მომუშავე პირველი სამრეწველო ელექტროსადგურის შესახებ, გაზეთი „ბაშკიმი" აღნიშნავს, რომ ეს ახალი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის დაუცხრომელი მეცადინეობისა, რომლის მიზანია ის, რომ ატომის ენერგიას იყენებდნენ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, კაცობრიობის კეთილდღეობისა და პროგრესისათვის.

ჩვენი ხალხი, რომელიც მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმის ერთგულია, წერს დასასრულ გაზეთი, კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირის ახალ მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს, რადგან ეს წინადადებები, მისი აზრით, ერთადერთი სწორი გზაა, რომ კაცობრიობამ თავიდან აიცილოს ატომური ომი, რომელსაც იმპერიალისტური აგრესიული წრეები ამზადებენ.

„ახალი ნაბიჯი მშვიდობიანი განვითარების გზაზე"

კოპენჰაგენი, 17 იანვარი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას — სხვა ქვეყნებს მიაწოდოს ინფორმაცია მსოფლიოში პირველი ატომის ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურის შესახებ, გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი" აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომის ენერგიის წარმოება გამოიყენეს მსოფლიოს ხალხთა დასაშინებლად ან იმისათვის, რომ თავს მოახვიონ მათ თავიანთი ცხოვრების წესი და იძალადგონ თავიანთი უძლეველობა.

საბჭოთა კავშირი, ნათქვამია სტატიაში, რომელიც თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის, ყოველ ღონისძიებას იღებდა სამშვიდობო მიზნით ატომის ენერგიის წარმოების განვითარებისათვის და ააგო მსოფლიოში პირველი ელექტროსადგური, რომელიც ატომის ენერგიით მუშაობს.

ახლა, „სთავეზობს რა თავის ცოდნას მთელ მსოფლიოს, იგი ახალ უდიდეს ნაბიჯს დგამს წინ მთელი მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარების გზაზე".

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომუნიკე

რომი, 16 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ" გამოაქვეყნა კომუნიკე იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 15 იანვრის სხდომაზე დასახა პარტიის IV ეროვნული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. იმ ცვლილებათა მოსამზადებლად, რომლებიც შეტანილი იქნება პარტიის წესდებაში, შექმნილია კომისია, რომელშიც შედიან: დ'ონოფრიო, მასოლა, როზა.ი, სანტია, ტურკი, ჩიკალინი, გინი, ამადეზი, რობოტი, დალმონტე, კანაპუოტი და ალეგატო.

არჩეულია პარტიის ახალი ხელმძღვანელობა, რომელშიც შედიან: პალმირო ტოლიატი, ჯორჯო ამენდოლა, არტურო კოლომბი, ჯუზეპე დი ვიტორიო, ედოარდო დ'ონოფრიო, ჯუზეპე დო�ა, რუჯერო გრიეკო, ჯერიოლამო ლი კაუზი, ლუიჯი ლონგო, ჩელესტე ნეგარვილე, აგოსტინო ნოველა, ჯან კარლო პაიეტა, ანტონინო როზეთი, ჯოვანი როეედა, მაურო სკარიმარო, პიეტრო სეკია, ემილიო სერენი, ველიო სპანო, უმბერტო ტერაჩინი. კანდიდატებად არჩეული არიან ენრიკო ბერლინგუერი, არიგო ბოლდრინი, პიეტრო ინგრაო, მარიო მონტანინი, რიტა მონტანინა, ჯაკომო პელეგრინი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს კომუნიკე

ვენა, 18 იანვარი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გუშინ გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე: „18 იანვარს ვენაში გაიმართება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გაფართოებული სხდომა.

ბიუროს დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. მშვიდობისათვის მოძრაობის ამოცანები ომასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ატომგულის იარაღის გამოყენების შესახებ.

2. შემდგომი განვითარება მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლისა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისა და განხორციელების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის 30 ქვეყნის წარმომადგენელი პროფესორ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის თავმჯდომარეობით.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს ამ სხდომას შეუძლიათ დაესწრონ პრესის წარმომადგენლები".

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 18 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში მუშაობას შეუდგა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომიტეტი. საკონსულტაციო კომიტეტი შეიქმნა თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესიის რეზოლუციისა ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების განვითარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

გახსნა რა სხდომა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა იმედი გამოთქვა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მოსაწყობად შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი, „შეძლებს უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს ცოდნისა და იდეების გავრცელების საქმეში, რომლებიც ესოდენ საჭიროა იმისათვის, რომ განხორციელდეს კაცობრიობის სასარგებლოდ ატომის ენერგიის გამოყენების იმედები". გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა, რომ საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე ამიერიდან იწარმოებს კარდახურულ დარბაზში.

საკონსულტაციო კომიტეტის სხდომის წინასწარი დღის წესრიგიდან, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა, ჩანს, რომ საკონსულტაციო კომიტეტი გადაწყვეტს უმთავრესად ორგანიზაციულ საკითხებს და, კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის თარიღისა და მუშაობის ხანგრძლივობის საკითხს, მისი მოწვევის ადგილის საკითხს, მისი წინასწარი დღის წესრიგის საკითხს.

საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, კანადის, საფრანგეთისა და ბრაზილიის წარმომადგენლნი. კომიტეტში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი.

პარიზის თათბირი „შეიარაღების პულის" საკითხზე

პარიზი, 17 იანვარი. (საკდესი). დღეს შაოის სასახლეში გაიხსნა „დასავლეთ ევროპის კავშირის" მონაწილე 7 ქვეყნის: ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის ექსპერტთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგშია საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას ყბადაღებული „ევროპის იარაღის წარმოების გაერთიანება". გადაწყვეტილება ამ თათბირის მოწვევის შესახებ მიღებული იყო პარიზში 23 ოქტომბერს, როცა საბოლოოდ შემუშავდა პარიზის შეთანხმებანი.

როგორც ცნობილია, „შეიარაღების პულის" შექმნის წინადადება შეიტანა მენდეს-ფრანსმა ლონდონის თათბირზე. ეს წინადადება ითვალისწინებდა იმას, რომ შექმნილიყო იარაღის წარმოების, სტანდარტიზაციის, განაწილების და მისადმი კონტროლის გაერთიანება. მაგრამ, რამდენადაც ამ საკითხში მთავარ როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებენ, მათ თავიდანვე უარყვეს ეს წინადადება, არ მოისურვეს შეეზღუდათ თავი რაიმე ვალდებულებით იარაღის განაწილების შესახებ, რომელსაც ისინი დასავლეთ ევროპაში გზავნიან.

საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც აშკარა წინააღმდეგობას წაწყდა არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ აგრეთვე ინგლისის, ჰოლანდიისა და ბელგიის მხრივ, მოამზადა ახალი წინადადება, რომელიც ფორმულირებული იყო მის 3 იანვრის მემორანდუმში. ამ დოკუმენტში გათვალისწინებულია შეიქმნას „შეიარაღების პული" ორ ეტაპად, რომელთაგან პირველი უნდა იყოს მოსამზადებელი ეტაპი, მეორე (დაწყებული 1957 წლის 1 იანვრიდან) — საბოლოო.

მაგრამ საფრანგეთის მთავრობის მეორე წინადადება აგრეთვე წააწყდა სიძნელეებს, ვინაიდან „შეიარაღების პულის" თვით იდეას ცივად შეხვდა დაინტერესებული ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის დასავლეთი გერმანია, რომელიც ეთანხმება საფრანგეთის წინადადებას, მაგრამ უარყოფს კონტროლის ყოველგვარ იდეას.

თათბირი გაიხსნა დაძაბული საშინაო ბრძოლის ვითარებაში, რასაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ქვეყნის ზარბაზნის მეფეთა ინტერესების შეჯახება. პარიზის პრესა თითქმის სრული ერთსულოვნებით გამოთქვამს პესიმიზმს ამ თათბირის შესაძლო შედეგების შესახებ. გაზეთი „ფიგარო" აღნიშნავს, რომ „საფრანგეთის გეგმას განხორციელების ნაკლები შანსები აქვს", რადგან ამ საკითხის განხილვა ამყოვნებს სერიოზულ უთანხმოებებს.

გროტევოლმა მიიღო პუშკინი

ბერლინი, 16 იანვარი. (საკდესი). მოსკოვის თათბირის შემდეგ, რომელიც 2 დეკემბერს დამთავრდა, სსრ საბჭოთა კავშირის მთავრობასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის მოხდა აზრთა გაცვლა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე. ამასთან ორიეე მხარე ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ როგორც დასავლეთ გერმანიაში, ისე საფრანგეთშიც სულ უფრო ძლიერდება გარკვეულ უცხო სახელმწიფოთა ზეგავლენა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის დასაჩქარებლად.

ამასთან დაკავშირებით 14 იანვარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გეორგ ჰანდკემ ამ საკითხების გამო მიიღეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

15 იანვარს ელჩი გ. მ. პუშკინი მოსკოვს გაეგზავნა, რათა მოხსენება გაუკეთოს მთავრობას.

პოლონელი ხალხი აღნიშნავს ვარშავის განთავისუფლების მეათე წლისთავს

ვარშავა, 17 იანვარი (საკდესი) დღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი — აღორძინებული ვარშავა — დღესასწაულობს საბჭოთა არმიის მიერ პოლონეთის ჯარის ნაწილების დახმარებით ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან თავისი განთავისუფლების მეათე წლისთავს. დედაქალაქის ქარხნის, ვოლის, ჰარაფისა და სხვა სამრეწველო რაიონების მუშები ამ დღეებში დგანან საპატიო შრომითის ვახტზე და გეგმის გადამეტებით აძლევენ პოლონეთის მანქანებს, მოწყობილობას და ხელსაწყობს.

ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებსა და დაწესებულებებში იმართება ვარშავის განთავისუფლების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრები, მოხსენებები და საღამოები.

გუშინ საღამის გაიმართა ვარშავის ახალგაზრდობის დიდი საღამოსასწაული მანიფესტაცია. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა გაიარეს დედაქალაქის ქუჩები და მოედნები და ცხადყვეს თავიანთი მისწრაფება მშვიდობისადმი, თავიანთი მაღლობა საბჭოთა ხალხისადმი ვარშავის განთავისუფლებისა და მის აღდგენაში უანგარო ძმური დახმარებისათვის. დღეს კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასპორტო დარბაზებში გაიმართება მხატვრული თვითმოქმედების საღამოსასწაული კონცერტები და სპორტული შეჯიბრებები.

პოლონეთის ცენტრალური გაზეთები მთელ გვერდებს უძღვნიან ვარშავის განთავისუფლების მეათე წლისთავს.

გაზეთებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პოლონელი ხალხი ამ ღირსშესანიშნავ დღეს მადლობას უძღვნის საბჭოთა ხალხს განთავისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობაში დახმარებისათვის.

ნორვეგიის ხელისუფალთა მაღლობა საბჭოთა მეზღვაურებისადმი

როგორც საბჭოთა პრესა უკვე იუწყებოდა, საბჭოთა სატვირთო გემ „ტარტუს" ეკიპაჟის წევრებმა 1954 წლის 11 ოქტომბერს ღამით, სიცოცხლის რისკით, ჩაიტაცეს ხანძარი ნორვეგიის ტანკერ „ფოლგაზე", რომელიც ნაღმს წაეწყდა ჰოლანდიის ნაპირებთან ჩრდილოეთის ზღვაში.

ხანძრის ჩაქრობის შემდეგ საბჭოთა გემი გაჰყვა ტანკერ „ფოლგას" როტერდამის ნავსადგურში შესასვლელამდე.

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 10 იანვარს ნორვეგიის ელჩმა მოსკოვში ე. ბროდლანდმა წერილით საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის სახელზე, თავისი მთავრობის დავალებით, ნორვეგიის ხელისუფალთა მადლობა გადასცა საბჭოთა გემ „ტარტუს" კაპიტანსა და ეკიპაჟის წევრებს იმისათვის, რომ ნორვეგიის ტანკერ „ფოლგას" მამაცური და დროული დახმარება გაუწიეს.

ფართოვდება უნივერსიტეტის კორპუსები



ამ დღეებში დამთავრდა უნივერსიტეტის ქიმია-ფიზიკის კორპუსის ახალი ფლიგელის მშენებლობა, რითაც კორპუსს შეემატა 2.700 კვადრატული მეტრი ფართობი.

ფლიგელის ძირითად ნაწილში მოთავსებულია ქიმიის ორი დიდი ლაბორატორია და კაბინეტები ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

პირველ სართულზე განლაგებულია სპორტული ბაზა, რომელსაც აქვს დიდი სპორტული დარბაზი, ვაკთა და ქალთა გასახდელი ოთახები, შხაპები, სპორტული ინვენტარის შესანახი ოთახები და სხვ. ცალკე დარბაზი აქვთ დათმობილი მძლეოსნებს.

ახალ ფლიგელში მეცადინეობა დაიწყება მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან.

სურათზე: ქიმია-ფიზიკის კორპუსის ახალი ფლიგელის ფასადი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **230 მილიონზე მეტი მგზავრი** გადაიყვანეს 1954 წლის განმავლობაში თბილისის ტრამვაიმ, ტროლეიბუსებმა და ავტობუსებმა.

⊙ **წლიური გეგმის გადამეტებით 3.700 ათასი მანეთის** მზა პროდუქცია გამოუშვეს 1954 წელს საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ტრესტის საწარმოებმა.

⊙ **ორი სპეციალიზებული მოძრავი ავტომაღაზია** მიიღო ამ დღეებში ცეკავშირმა. ისინი საექსპლოატაციოდ გადაეცა მახარაძისა და წითელწყაროს რაიონულ სამომხმარებლო კოოპერაციას.

⊙ **2.240 ათასი მანეთი გამოჰყო** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა პირველ კვარტალში ქალაქის კომუნალური მეურნეობის ობიექტების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის.

ა მ ი ნ დ ი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 20 და 21 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით მცირე ნალექი, უმეტესად სანაპირო რაიონებში. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 5-10 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 6-11 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ხელჩაბმა თავისუფალ ჭიდაობაში

პირველი საერთაშორისო ხელჩაბმა შეკრიბა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნაკრებ გუნდებს შორის სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევდა. ეს შეხვედრა გაიმართა 17 იანვარს მოსკოვის საელმწიფო ცირკში.

იაპონელ სპორტსმენთა რიგებში იყვნენ საერთაშორისო კლასის მოჭიდავეები — მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონი სასახარა, ამავე ჩემპიონატის პრიზიორი კანეკო და სხვ. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იყვნენ ცალქალამანიძე, მარტინოვი, სოლოიდი, გაბარაევი, ბალავაძე (კაპიტანი), სხირტლაძე, კულაევი, კანდელაკი.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო შეჯიბრება. პირველ წყვილად გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები ცალქალამანიძე და ივაი (იაპონია). საბჭოთა მოჭიდავემ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა ქულებით. იაპონიის გუნდს პირველი გამარჯვება მოუპოვა იოძუკამ (მჩატე წონა). მან ქულებით მოუგო მარტინოვს. ასევე ქულებით მოიგო შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონმა სასახარამ (ქვემსუბუქი წონა) სოლოიდის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გაბარაევის (მსუბუქი წონა) უპირატესობა კასახარას წინააღმდეგ ბრძოლაში აშკარა იყო. მალე იაპონელი სპორტსმენი ხალიჩაზე ბეჭებდადებული აღმოჩნდა.

საინტერესო იყო მსოფლიო ჩემპიონის ბალავაძის (ქვესუბუალო წონა) ჭიდაობა კანეკოსთან. ბალავაძემ მეხუთე სუფთა გამარჯვება მოიპოვა. სამუალო წონაში სხირტლაძემ ქულებით მოუგო იკედას (იაპონია). ქულებით გაიმარჯვა აგრეთვე კულაევმა (ქვემძიმე წონა) კაეტრამოტოს წინააღმდეგ. ყველაზე ნაკლები დრო დასჭირდა სუფთა გამარჯვებისათვის კანდელაკს (მძიმე წონა). მან დაამარცხა სეკი.

ამრიგად, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 6 : 2.

სსრ კავშირის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში

ჩიმხულაკში გრძელდება შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში სსრ კავშირის 1955 წლის პირად პირველობაზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია ასპარეზობამ სლალომში ვაკთათვის. შეხვედრები მიმდინარეობდა საერთაშორისო წესების მიხედვით — ე. ი. ერთსა და იმავე დისტანციაზე დაშვების ორი ცდის ნაცვლად, სპორტსმენები ორ სხვადასხვა ტრასას გადაიოდნენ.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ორმოცმა სპორტსმენმა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ სპორტსმენმა კავშირის ჩემპიონის წოდება სლალომში მეხუთეჯერ მოიპოვა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" წარმომადგენელმა მოსკოველმა მოთხილამურემ ა. ფილატოვმა, რომელმაც ორი დისტანციის გავლისას აჩვენა დრო — 1 წუთი და 57,5 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. მელნიკოვმა („ხიმიკი"), მესამე — ს. შუსტოვმა (საბჭოთა არმია).

დღეს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

სპორტული ქრონიკა

⊙ თბილისის ცენტრალურ საკადრაკო კლუბში დაიწყო რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 24 მოჭადრაკე. 2 ტურის შემდეგ პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში წინ არის გ. ნიკაშვილი (2 ქულა), მეორეში — ა. გამრეკელი (1½ ქულა).

⊙ სოხუმსა და სტალინირში გაიმართა ჭაბუკ მოკრივეთა კოლექტივების საქალაქთაშორისო შეჯიბრება. სოხუმში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სოხუმის, ქუთაისისა და თბილისის სპორტსმენები. გაიმარჯვა სოხუმის გუნდმა. სტალინირში პირველი ადგილი დაიკავეს ამავე ქალაქის მოკრივეებმა.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი, მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი საკაძე, გრიბოედოვის სახელობის — ერთი სიყვარულის ისტორია, სომხური დრამის — ვაგიფი, (7 ს.), მუსიკალური კომედიის — ბრწყინვალე მომავალი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კრაზანა (აბონემენტი № 42, 6 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ვინ არის დამნაშავე, კომკავშირელი, კოლხიდა — ბაიჯუ ბავრა, დიდუბე, ოფიცერთა სახლი — ერთგულების გამოცდა, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი — შიბკის გმირები, თბილისი — რომი 11 საათზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ნაძალადევი ქორწინება, გორკის სახელობის კლუბი — სათადარიგო მოთამაშე, კომუნარების ბაღი — სახიფათო შეგავსება.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

19 იანვარს
ლ. დელიბი—ლაკმე

20 იანვარს
ზ. ფალიაშვილი—დაისი
დავით გამრეკელის მონაწილეობით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ლომების მომთვინიერებლის
რსფსრ დამსახურებული არტისტის
ირინა ბუზრიმოვას
უკანასკნელი გასტროლები
და დიდი ხაცირკო წარმოდგენა
8 განყოფილებად.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 23 იანვარს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა.
დასაწყისი დღის 12 საათზე და 3 საათზე.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

თბილისის ავტომსატრანსპორტო სამგზავრო კანტორას

ახალი ავტობუსების მიღებასთან დაკავშირებით ესაჭიროება:
ავტომძღოლები I-II კლასისა და კონდუქტორები.
ცნობისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, საზურთალო, პავლოვის ქუჩა № 17, ავტომსატრანსპორტო კანტორა.

შვილები ვერა კვარაცხელია, თამარ ჯღუბაძე, მარო ბრეგაძე, ვლადიმერ და ლუბა თორდუეები ოჯახებით იუწყებიან
ოლგა დუტუს ასულ თორდუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-I ქ. ზუგდიდში. გამოსვენება დუტუ მეგრელის ქ. № 8.

მეუღლე პაშა, შვილი მერი ოჯახით იუწყებიან
ერმალო პეტრეს-ძე ციცხვაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-I, 8 ს. გამოსვენება 20-I, 5 ს. ბინიდან, კოჩეტკოვის ქ. № 10.

წალენჯიხის საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება
თინა პოლიკარპეს ასულ კაკაბაძე-გუგუშვილის
გარდაცვალებას.

ძმები გიორგი, ვლადიმერ, და თამარ ხმალაძეები იუწყებიან
მარიამ ილიას ასულ წულუკიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-I, 8 ს. გამოსვენება 20-I, 5 ს. პლეხანოვის პრსპ. № 29.

დედა ელენე, მეუღლე ქეთევან, შვილები ნოდარ, ცირა იუწყებიან
ალექსანდრე ლევანის-ძე ნადირაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-I, 8 ს. გამოსვენება 20-I, 4 ს. საბა-ს